პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ორშაბათი, 3 თებერვალი 1926 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

24 (1019) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუ ელხმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## საბჭოების ხელახალი არჩევნები და ჩვენი მოვალეობა.

საბჭოების ხელახალი არჩევნები უკვე დაიწყო ჩვენს რესპუბლიკაშიც. თითქმის რამოდენიმე თვე მიმდინარეობდა წინასწარი საამისო მზადება ადგილებზე, რომ ამით ამ არჩევნების დროს თავიდან ყოფილიყო აცილებული ის შეცდომები, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში.

უმთავრესად რაში მდგომარეობდა ეს შეცდომები? პირველი და უმთავრესი შეცდომა წარსულ წლებში საბჭოთა არჩევნების დროს მდგომარეობდა იმაში, რომ არჩევნები ადგილებზე იწყებოდა და თავდებოდა ნაჩქარევად და უგეგმოდ. საამისო წინასწარი სამზადისიც არ სწარმოებდა ადგილებზე და გლეხობის ფართო მასამ ბევრ ალაგას არ იცოდა საბჭოების არჩევნების მნიშვნელობა და [illegible] მთელი შინაარსი.

[illegible]ეორე ნაკლი იყო გლეხობის უაქტივობა საბჭოთა არჩევნებში. არჩევნების დროს ბევრ ალაგას ადგ. ორგანოებში რაიმე მოხერხებით გამძვრალ არასასურველ პირების წინააღმდეგ არჩევნებში მონაწილე გლეხობა ხმასაც არ იღებდა. ამის შედეგად ჩვენ ვღებულობდით ასეთი არასასურველი პირებისაგან გლეხებზე და მუშებზე ცუდად მოპყრობას, საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის პოლიტიკის არა სწორად გატარებას და სხ., რაც შემდეგში ადგ. მოსახლეობაში იწვევდა სამართლიან უკმაყოფილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულ და სხვა მრავალ ნაკლს საბჭოთა ხელისუფლებისა და ჩვენი პარტიის უმაღლესმა ორგანოებმა დროზე მიაქციეს სათანადო ყურადღება, გამომუშავებულ იქნა ახალი გეგმები მომავალში არჩევნების ნაყოფიერად ჩატარებისათვის, რომ ამით ადგილი აღარ ჰქონებოდა რაიმე შეცდომებს შემდეგში.

ამ ახალი გეგმით ხელახალი არჩევნების კამპანია ადგილებზე უკვე რამოდენიმე თვეა, რაც მიმდინარეობდა. ამ კამპანიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საბჭოთა ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის გაცნობა საერთო კრებების მოწვევის საშუალებით, ადგილობრივი მოსახლეობისათვის და უპარტიოების მიზიდვა საერთო მუშაობაში.

როგორც ვსთქვით ხელახალი არჩევნები ადგილებზე ბევრგან უკვე დაიწყო, დანარჩენში კი დაიწყება ამ დღეებში. ჩვენი მოვალეობაა კარგად გავიცნოთ საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობა, კარგად შევისწავლოთ სოფლად მუშაობის საკითხები და ყოველმხრივ დავეხმაროთ ადგ. ორგანოებს ამ არჩევნების სასურველად ჩატარების საქმეში, რომ ეხლა მაინც ადგილი აღარ ექნეს რაიმე შეცდომებს ამ დარგში და საბჭოებში არჩეულ იქნან ისეთი პირები, რომლებსაც დიდ ნდობას უცხადებენ ადგ. მცხოვრებთა მშრომელი ხალხი და ჩვენი ხელისუფლება. თითეული წითელი არმიელის მოვალეობა იქნება შეიტანოს თავისი წვლილი ამ არჩევნებში.

კერძოდ შვებულის და ცვალებადის მოვალეობა იქნება აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში სოფლად და არ მისცენ საშუალება უღირს პირებს, რომ მოხვდენ საბჭოების შემადგენლობაში.

## განიარაღების კონფერენციის გარშემო.

ახლოვდება განიარაღების კონფერენციის გახსნის დღე, რომელსაც წინ უძღოდა ხანგრძლივი მითქმა და მიწერ-მოწერა. დღევანდელი რადიო-დეპეშები კი ნათელყოფენ იმ არევ-დარევას, რომელიც მეფობს ამ საკითხში ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის. ყველაზე უფრო შვეიცარიაა შეწუხებული, რაც სავსებით გასაგებია და აი რატომ. ჩვეულებრივად ყოველგვარ საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციები და ყრილობები იმართება შვეიცარიის რომელიმე ქალაქში, ვინაიდან მათი ინიციატორი (მომწვევი) უმეტეს შემთხვევაში ერთა ლიგაა, რომელიც ქ. ჟენევაში (შვეიცარია) იმყოფება. ეს მორიგი კონფერენციაც უნდა შემდგარიყო შვეიცარიის რომელიმე ქალაქში, მაგრამ საბჭოთა კავშირის მთავრობამ, რომელიც მიპატიჟებული არის ამ კონფერენციაზე, კატეგორიული უარი სთქვა მის მუშაობაში მონაწილეობაზე თუ ის შვეიცარიის ქალაქში შესდგებოდა, ვინაიდან მას შემდეგ რაც ლოზანაში (შვეიც. ქ.) ვერაგულად მოკლულ იქნა ჩვენი ელჩი ამხ. ვოროვსკი და მისი მკვლელი კი გაამართლა იქაურმა მართლმსაჯულებამ, ჩვენს და შვეიცარიის მთავრობის შორის ნორმალური ურთიერთობა არ აღდგენილა.

ყველა ქვეყნის ანტისაბჭოთა პრესამ და, რასაკვირველია, შვეიცარიამ პირველ რიგში, მოინდომეს საბჭოთა მთავრობის განცხადება განემარტათ ისე, თითქოს ჩვენ „გაურბოდეთ განიარაღების კონფერენციაში მონაწილეობას და ამით ხელს უწყობდეთ არსებულ მდგომარეობას შეიარაღების საკითხში რომლის სიმძიმის ქვეშ გმინავს კაცობრიობა ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში. მაგრამ საბჭოთა მთავრობის ენერგიულმა განცხადებებმა ყველასათვის უდავოთ გახადა, რომ ჩვენ გულწრფელად მივისწრაფვით განიარაღებისაკენ და მზად ვართ წავიდეთ შესაძლებელ დათმობაზე, თუ კი ყველა სახელმწიფოები გულწრფელობას გამოიჩენენ ამ საკითხში. მეორეს მხრივ ჩვენ კატეგორიულ წინააღმდეგი ვართ ამ კონფერენციის შვეიცარიაში მოწვევისა, მანამ ის ჩვენი სამართლიან მოთხოვნილებებს არ შეასრულებს.

შვეიცარიის მთავრობა ხმას არ იღებს ამის შესახებ. მეორეს მხრივ კონფერენციის გახსნის დღე ახლოვდება და სწორედ ეს გარემოებაა, რომ აღელვებს ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებს. საბჭოთა მთავრობის ამ კონფერენციაში მონაწილეობის გარეშე მისი მუშაობა ფუჭად გაივლის, როგორც ამას აღიარებენ იაპონიის და ინგლისის პრესსა. საბჭოთა კავშირის დასავლეთით მოსაზღვრე სახელმწიფოები, ლატვია, ესტონია, პოლონეთი კი სრულ უარს ამბობენ კონფერენციაში მონაწილეობაზე, თუ იქ საბჭოთა კავშირი არ იქნება წარმოდგენილი, რადგან მათი განიარაღების საკითხი საბჭოთა კავშირზეა დამყარებული.

არსებითად, შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ ამ კონფერენციის შედეგები, ისევე როგორც ვაშინგტონისა, ვერ შეამსუბუქებენ იმ სიმძიმეს, რომელიც კაცობრიობას მძიმე ულღად ადევს მილიტარიზმის (შეიარაღება) წარმოუდგენელ ზრდის გამო. ამის საბაბს დღევანდელი ცნობებიც კი იძლევიან. ინგლისელი გაზეთი სწერს, რომ ინგლისის მთავრობამ წინადადება მისცა პოლონეთს მომავალ კონფერენციაზე ნუ გამოიჩენს ის ლმობიერებას და ნუ წავა დათმობაზე, რადგან „რუსეთის საშიშროება“ (!!) კიდევ არსებობს. და თუ საბჭოთა მთავრობა ღებულობს მონაწილეობას ამ კონფერენციაში ეს მხოლოდ „იმიტომ, რომ ნათლად დაუმტკიცოს კიდევ ერთხელ, იმ პაციფისტურად განწყობილ ხალხს, რომ მანამ კაპიტალისტური რეჟიმი და მთავრობები არსებობენ ზედმეტია ლაპარაკი განიარაღებაზე და მის შემცირებაზე და ყოველგვარი ასეთი კონფერენციები მშრომელთათვის მოჩვენებაა და თვალის ახვევა.

ნ.

# ახალი რადიო ამბები

## ამხ. რადეკის წერილიდან

### რატომ არ უარვყოფთ საკუთრებას ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაზე

ამ ბოლო ხანებში ბურჟუაზიული გაზეთები გაფთრებულ კამპანიას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის ამბებთან დაკავშირებით.

ამხ. რადეკი გაზეთ „პრავდაში“ განმარტავს ამ გარემოებას. ის აყენებს საკითხს—რატომ არ უარყოფს საბჭოთა კავშირი კერძო საკუთრებას ჩინ. აღმ. რკინის გზაზე ჩინეთის სასარგებლოდ? და ამ საკითხზე ასე უპასუხებს.

— იმიტომა, რომ ეს ჩინეთი არ არსებობს. მანჯურიაში ბატონობს არა ჩინეთის ხალხი, არამედ ჩან-ძო-ლინი და იაპონიის ბურჟუაზია. რკინისგზის საკუთრებაზე ამის თქმა კი უფრო გააძლიერებდა ჩინეთის ხალხის სულთამხუთავებს.

ამას გარდა ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინისგზა ჩან-ძო-ლინის ხელში ხელს შეუწყობდა იაპონიის სამხედრო ძალებს წამოსულიყვენ მუკდენიდან ხარბინში და სადგურ პოგრანიჩნაიაზე. ხოლო ეს კი გააძლიერებდა განხეთქილების შესაძლებლობას იაპონიის იმპერიალიზმსა და საბჭოთა კავშირს შორის.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მშრომელთა ინტერესები მოითხოვენ მშვიდობიანობას და არა მდგომარეობის გამწვავებას, რაც გამოიწვევდა შეიარაღების გაძლიერებას.

## ქალთა დემონსტრაცია ჩინეთში.

30 იანვარს ხარბინში გაიმართა ქალთა დემონსტრაცია ახალგაზრდობის უკანონოდ დაპატიმრების წინააღმდეგ. 500 მეტი ქალი მიადგა პოლიციის სამმართველოს და მოითხოვდენ პატიმართა გათავისუფლებას. დემონსტრანტებს გარს შემოერტყა ჯარის ნაწილები. პოლიციის სამმართველოს უფროსის თანაშემწემ აღუთქვა დემონსტრანტ ქალებს პატიმართა გათავისუფლება.

## „არც ომი უნდათ, არც დათმობა“

ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთის კორესპონდენტი განმარტავს ინგლისის ელჩის ლინდსეის ოსმალეთში მოგზაურობას, რის მიზანიც იყო ოსმალეთთან სადაო საკითხების მოგვარება.

კორესპონდენტი სწერს: „ოსმალებს ოდნავადაც არ გამოუცვლიათ თავიანთი პირობები: მათ არ სურთ ომი, მაგრამ არც დათმობაზე წასვლა უნდათ.

ოსმალები უცდიან დათმობას ინგლისის მხრივ“.

## ედდო ფიმენის წერილი.

ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატების გაზეთ „ფოლკ“-ში მოთავსებულია ამსტერდამის პროფკავშირთა ინტერნაციონალის ყოფილი მდივნის (ამ ჟამად გადაყენებულია მემარცხენეობისთვის) ფიმენის წერილი. წერილში ის უპასუხებს იმ პირებს, რომლებიც მას უსაყვედურებდენ, რომ „შენ კომინტერნის კარნახით მოქმედობო“.

„რასაც მე ვაკეთებ—სწერს ფიმენი—მუშათა მოძრაობის მთლიანობისთვის, ნაკარნახევია პირადი შეხედულებით. მე მოხარული ვარ, რომ ჩემს შეხედულებას იზიარებენ ყველა ქვეყნისა და მათ შორის საბჭოთა კავშირის ათასობით მუშები და პროფმოღვაწეები“.

# საბჭოთა კავშირში

## ავსტრიის მუშათა დელეგაცია მინსკში.

### ბურჟუაზიული გაზეთები 95 პროც. ტყუილს სწერენ საბჭოთა კავშირზე.

ავსტრიის მუშათა დელეგაციამ 31 იანვარს დაათვალიერა მინსკის სამრეწველო დაწესებულებები. დელეგატები დაწვრილებით ეცნობოდენ წითელ არმიელთა ყოფა-ცხოვრებასა და მუშათა შრომის პირობებს.

დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ავსტრიაში უმუშევართა დახმარება 4-ჯერ ნაკლებია, ვინემ ჩვენში.

დელეგაციის წევრმა გონნერმა მიტინგზე განაცხადა: „ჩვენში ამბობენ, რომ რუსეთში არაა სოციალიზმი, არამედ არის დიქტატურა პროლეტარიატზე. ჩვენ კი წინააღმდეგს ვხედავთ და მზად ვართ უთხრათ ჩვენს სოციალ-დემოკრატ ბელადებს: თუ ეს, რაც ჩვენ ვნახეთ პროლეტარიატზე დიქტატურაა, მაშინ შემოიღეთ ჩვენშიც ასეთი დიქტატურა.“

დელეგატ მარკოვმა (სოც. დემოკრ.) განაცხადა: ჩვენ ჯერ კიდევ ბელორუსიაში დავრწმუნდით, რომ 95 პროც. იმისა, რასაც ბურჟუაზიული გაზეთები სწერენ,—აშკარა ტყუილია“.

## ამხ. რაკოვსკი გაემგზავრა საფრანგეთში.

პირველ თებერვალს პარიზში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში და საფრანგეთთან მოლაპარაკების საქმეში საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. რაკოვსკი.

# არმიის მე-4 პარტიული კონფერენცია.

შემდეგ ამხ. რატნეკი გადადის ხელმძღვანელობის საკითხზე, აღნიშნავს ხელმძღვანელობის საქმის გაძლიერებას საანგარიშო პერიოდში და გადადის კავშირის საკითხზე სამოქალაქო ორგანიზაციებთან. მიღწევები აქაც არის, მაგრამ საბრძოლო მომზადების საერთო ამოცანები მოითხოვენ ამ კავშირის უფრო გაძლიერებას.

დასასრულ ამხ. რატნეკი ამბობს: ჩვენი არმია გაძლიერდა როგორც საბრძოლო ძალა; გაძლიერდა ჩვენი პარტ-ორგანიზაციაც და არმიის საბრძოლო მომზადების ამოცანების გადაჭრა ჩვენთვის ამ ჟამად ძნელი არ იქნება.

**კამათი ამხ. რატნეკის მოხსენების გარშემო.**

30 იანვარს საღამოს სხდომაზე ამხ. რატნეკი და უპასუხებს წერილობითი შეკითხვებზე, რის შემდეგ იმართება კამათი.

კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის პოლიტსამმართველოს მუშაობის შესახებ ამხ. რატნეკის მოხსენების გარშემო კამათი დაიწყო 30 იანვრის საღამოს სხდომაზედა დასრულდა 1 თებერვალს დილის სხდომაზე.

კამათში მონაწილეობას ღებულობს შემდეგი დელეგატები: ამხ. ბოკოვი (სამხ. მომხმ. საზ. „ბოეცის“ გამგეობის სახ.), შესტაკოვი (მე-3 დივიზია), ძვირაია (ქართული 1-ლი დივიზია), აირაპეტოვი (ცხენოს. ბრიგ.), აბასოვი (აზერბ. დივ.), ლეიფერკუსი (კავკ. მე-2 დივ.), სავრაზბეკიანი (სომხ. დივ.), პიჰენევი (ტფ. ქვეითა სკოლა), თუმანიანი (კავკ. 1-ლი დივიზია), გრიგორიანი (სომხ. მეთ. სკოლა), ბლუაშვილი (მე-2 ქართ. დივ.), ხმელევსკი (ცხენ. ბრიგ.), ტალახაძე (ქართული მეთ. სკოლა), ლანცოვი (კასპ. სამხედრო ფლოტი), ორლოვი (მე-2 მსრ. დივ.), ამხ. კლევცოვი (აზერბ. დივ.), სოხინი (1-ლი კავკ. დივ.), ადამაძე (მე-2 ქართ. დივ.), ალიევი (აზერბ. დივ.), ვართანიანი (სომხ. დივ.), მაიზელის (მე-3 კავკ. დივ.), გრიშენკოვი (კ. წ. დ. არმ. სამხ. პოლიტსკ.), საჩილკინი, ნადირაძე (ქართ. სამხ. პოლიტსკოლა), სოკოლოვი (არმიის სამხ. ტრიბ.), აკოპოვი (აზერბ. დივ. სამხ. პოლიტსკ.), ხალინი, ბოგდანოვი (კ. წ. დ. ა. პოლიტსკ.), გრადოვი (1-ლი კავკ. დივ.), ლიუბიმოვი (არმ. პროკურატ.), მიქაძე (1-ლი ქართ. დივ.), პეტროვი (არმ. პოლიტსამართ.), ერმაკოვი (მე-3 კავკ. დივ.), ქოზლოვსკი (1-ლი კავკ. დივ.).

ზემოაღნიშნული ამხანაგები შეეხენ მუშაობის ყველა საკითხებს, აღნიშნეს ნაკლოვანებანი და სიძნელენი და მიუთითეს მთელ რიგ მიღწევებზე.

კამათში სხვათა შორის გაშუქებულ იქნა სამხედრო კოოპერაციის მუშაობა. მას აქვს სერიოზულ მიღწევათა მთელი რიგი: წევრთა რიცხვის ზრდა, საწევრო კაპიტალის ზრდა, ზედნართი გასავლის შემცირება, საკრედიტო წესის გაუმჯობესება. კოოპერაციის სავაჭრო ქსელს აქვს 59 წერტილი 14 სხვა და სხვა წერტზე. არის საწარმოო დაწესებულებები (საჭმელების კომბინატი და თევზის სარეწავები), არის დამხმარე საწარმოთა მთელი რიგი. კოოპერაციას აქვს 10 სასადილო. გასული წელი კოოპერაციამ დაამთავრა მოგებით.

კონფერენცია შეეხო არმიის ნივთიერ მომარაგებას, აღნიშნულ იქნა ზოგიერთი ნაკლი, მაგრამ მაინც აღნიშნულ იქნა არმიის ნივთიერ მდგომარეობის საერთო გაუმჯობესება.

გაცხოველებული კამათი გამოიწვია საკითხმა გეგმიან ხელმძღვანელობის შესახებ. გეგმიან ხელმძღვანელობის არსებული სისტემა ლეგიონზე სწორებით მიზანშეწონილია და შეეფერება ნამდვილ გარემოებას.

აღნიშნულ იქნა მნიშვნელოვანი მიღწევები კ. წ. დ. ა. ეროვნულ ნაწილების მუშაობაში, აღნიშნულ იქნა მიღწევები და ნაკლოვანებანი ტერსისტემასა და წვევამდე მომზადებაში.

სხვა საკითხებიდან აღსანიშნავია საკითხი ოცეულის უფროსის, უმცროს მეთაურთა შემადგენლობის მომზადების, უფპოლიტშემადგენლობის დატვირთვისა და უმაღლეს სასწავლებლის შესახებ.

კამათში აღნიშნულ იქნა, რომ არმიის ნაწილების პოლიტიკურ- მორალური მდგომარეობა საღია.

გაუმჯობესდა კ. წ. დ. ა. პოლიტსამმართველოს მხრივ ხელმძღვანელობა გაძლიერდა, მუშაკები ხშირად მიდიოდენ ადგილებში.

შეაფასა რა პოლიტსამმართველოს მუშაობა, მე-2 ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსმა, ამხ. მარქაროვმა განაცხადა: ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ წლინახევრის პერიოდში დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ, უმთავრესად, მუშაობის შეგუების საქმეში ეროვნულ დივიზიებში.

პოლიტსამმართველოს მუშაობა შემდეგნაირადაა შეფასებული რეზოლიუციაში:

მოისმინა რა ამხ. რატნეკის მოხსენება არმიის პოლიტსამმართველოს მუშაობის შესახებ, კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად სცნო პოლიტსამმართველოს მუშაობა და საერთო პოლიტიკურ ხაზი—სწორად.

კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავს განსაკუთრებით მიზანშეწონილ ხელმძღვანელობასა და დიდ მიღწევებს ეროვნულ ნაწილების აღმშენებლობის საქმეში როგორც ძირითად, ისე ტერნაწილებში, რის შედეგად ჩვენ გვყავს მტკიცედ ჩამოყალიბებული ეროვნული ნაწილები ამიერკავკასიაში.

# პირველი ქარ. მს. დივიზიის მეხუთე პარტკონფერენცია

**ამხ. თავართქილაძის მოხსენება.**

24 იანვარს მეექვსე სხდომაზე პარტაღმშენებლობის მომავალ ამოცანების შესახებ მოხსენებას აკეთებს

**ამხ. თავართქილაძე.**

მომხსენებელი სტატისტიკური ცნობებით ადასტურებს, რომ ჩვენი პარტორგანიზაცია სტაჟის მხრივ უფრო ახალგაზრდაა, რაც უნდა აიხსნას პარტიაში ახალი წევრების და კანდიდატების მიღებით. შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს პარტორგანიზაციის შემადგენლობას სტატისტიკურ ცნობების მიხედვით, რის შემდეგ გადადის იმ მიღწევებზე, რომელიც ჩვენ გვაქვს პარტიულ მუშაობაში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

პირველი უმთავრესი მიღწევა—ეს არის კომუჯრედების ქსელის გაფართოება და ასეულის კომუჯრედების სისტემაზე გადასვლა.

დამახასიათებელია აგრეთვე კომკავშირის ზრდაც, რაც უნდა მიეწეროს კომკავშირის ჯგუფების ჩამოყალიბებას და მათ ნაყოფიერ მუშაობას.

მნიშვნელოვანი მომენტი ჩვენ მუშაობისა არის მუშაობა ნაციონალურ უმცირესთა შორის, როგორიც არიან ოსები, სომხები, რუსები და სხ. პირველად ისინი ვერ გრძნობენ თავს თავიანთ ოჯახში. ამიტომ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილებზე მომუშავე ამხანაგებისაგან ნაციონალ. უმცირესობაში მუშაობას და საკითხების სწორად გადაჭრას.

პარტკრებების ჩატარების საქმეში უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს დღის წესრიგის დამუშავებას. ამასთანავე ერთად სერიოზულად სდგას უჯრედის მუშაობაში პოლიტიკურ მორალურ მდგომარეობის შესწავლა და დისციპლინის განმტკიცება. ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება ამიერ-კავკასიის ეკონომიურ მდგომარეობის შესწავლასაც. პოლიტ-მორალურ მდგომარეობის შესწავლის საქმეში ნაწილმა უნდა გამოიყენოს ყველა ის ორგანიზაციები, რომლებიც ნაწილში მოიპოვება.

უპარტიო მასის მიზიდვა აქტიურ მუშაობაში ჩვენ უნდა დავიწყოთ თვითმოქმედ ორგანიზაციებიდან.

ჩვენ გვაქვს კურსი აღებული კომუჯრედის მდივნების შერჩევაზე წითელ არმიელებიდან, მხოლოდ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში მდივნის პარტიული სტაჟი და საკმაო მომზადება ხელმძღვანელო მუშაობისათვის.

ეხლა სდგას საკითხი კანდიდატების დამუშავების და მათი პარტიაში წევრად მიღების შესახებ.

კანდიდატების მიღების დროს ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში შევსძლებთ თუ არა ჩვენ მათ დამუშავებას, გვყავს თუ არა ამისათვის მომზადებული პარტიის წევრები. თვით პარტიაში მიღების დროს უნდა იქნეს დაცული გეგმიანობა.

დიდ მუშაობას მოითხოვს ჩვენგან კომკავშირის წევრთა შორის მუშაობა, რომელთა რიცხვი უკანასკნელ გაწვევის შემდეგ გაიზარდა თითქმის სამჯერ. კომკავშირის წევრთა უმრავლესობა პასიურია. მხოლოდ წითელ-არმიის ნაწილში შეიძლება მათი ჩაბმა აქტიურ მუშაობაში, რაც დამოკიდებულია თვით ხელმძღვანელზე. ამისათვის კომკავშირის ჯგუფების ორგანიზატორის შერჩევას აქვს დიდი მნიშვნელობა. ხელმძღვანელთა შემადგენლობაში ჩვენ უნდა შევიყვანოთ პარტიული ამხანაგებიც, რითაც უზრუნველყოფილი იქნება პარტიის ხელმძღვანელობა კომკავშირის მუშაობაზე.

ჩვენ პრესაში სუსტათ შუქდება პარტიის ცხოვრება. პარტმუშაობის ,საკითხების გადატანა პრესაში გამოაცოცხლებს პარტიულ მუშაობას და დააინტერესებს უპარტიო მასებსაც.

ყოველივე ამ მუშაობის წარჩინებით ჩატარება ჩვენ პარტორგანიზაციიდან არის დამოკიდებული და ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ წითელარმიაში მყოფი პარტიის წევრი უფრო პასუხისმგებელია, ვიდრე სამოქალაქო ორგანიზაციაში მყოფი.

ამხ. თავართქილაძის მოხსენების შემდეგ თანამოხსენებას აკეთებს

**ახ. კ. კავშირის მუშაობის მომავალ ამოცანებზე**

**ამხ. ხომერიკი,**

რომელიც ამბობს: მე-XIV პარტყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომკავშირის მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიისათვის ახალ კადრის მომზადების საქმეში. მთელი ჩვენი მუშაობა სწარმოებდა ჯგუფებში თანახმად დებულებისა. ჯგუფების ორგანიზაციულად ჩამოყალიბების საქმე დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. პარტიის ხელმძღვანელობა კომკავშირის მუშაობაზე სავსებით ტარდება ცხოვრებაში, მხოლოდ კომუჯრედებმა შემდეგში უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა კომკავშირში მომუშავე აქტივი განტვირთულ იქნეს ზედმეტ სამუშაოსაგან. პარტიული ბირთვი კომკავშირში იქნება შემაერთებელი ხიდი პარტიასა და კომკავშირს შორის.

დივიზიაში არის სულ კომკავშირის 38 ჯგუფი, რომლის მუშაობის გაღრმავება არის პარტიული ორგანიზაციის მოვალეობა.

კავშირი კომკავშირის სამოქალაქო ორგანიზაციებთან ჩვენ უნდა განვამტკიცოთ მათი გასამხედროების მიზნით. ამ მხრივ მიღწევები გვაქვს, საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება მიაქციონ კომკავშირის ადგილობრივ კომიტეტებმა ჩვენ ნაწილებში ახლად მიღებულ კომკავშირის წევრების თავის დროზე დამტკიცებას და მანდატების გაცემას.

კომკავშირის ორგანიზაციების ზრდას ჩვენ უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება, ყოველ სამ თვის განმავლობაში ჩვენ უნდა ვარკვევდეთ თუ ვის ვღებულობთ და ვინ შემოდის კომკავშირში. არა ნაკლებ მნიშვნელობა აქვს კომკავშირის წევრების თავის დროზე გადარიცხვას პარტიაში, რომ არ განმეორდეს შემთხვევები კომკავშირიდან მექანიკურად გამორიცხვისა, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 24 წელი.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს ჩვენ მუშაობაში წარმოადგენს კომკავშირის ლიტერატურის საკმაო რაოდენობის უქონლობა, რომლის შეძენისათვის უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები.

(შემდეგი იქნება)

# როგორ ცხოვრობს 450 მილიონი ჩინელი.

**ჩაგრული ერები ღვიძებენ.**

უცხოელ კაპიტალისტების მიერ დაჩაგრული აზიის ერები თანდათანობით გაბედულად აწარმოებენ განმათავისუფლებელ ბრძოლას. პირველ ადგილზე მიდის ჩინეთი.

ჩინეთი უზარმაზარი ქვეყანაა, სადაც ითვლება 450 მილიონი მცხოვრები. ამ რიცხვიდან გლეხობა შეადგენს 360 მილიონს. მიწად მოქმედება ჩინეთის მცხოვრებთა მთავარი საქმიანობაა.

ჩინეთის გლეხობა შეიძლება დაყოფილ იქნას სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფს შეადგენს გლეხთა ოჯახები, სულ 17.349.000-დი, რომლებიც ამუშავებენ საკუთარ მიწას. მეორე ჯგუფი—მოიჯარადრეები, (უმიწაწყლოები, რომლებიც მიმართავენ იჯარას), რიცხვით 6.780.000 ოჯახი.

მესამე ჯგუფს შეადგენენ ნახევრად მოიჯარადრეები, ე. ი. ისეთები, რომლებსაც აქვთ მიწები და დამატებით იჯარასაც მიმართავენ; ამათი რაოდენობა უდრის 5.438.000.

მიწათ მესაკუთრეები, რომლებიც ჰფლობენ 700 დესეტინაზე მეტ მიწას, თვითეულ პროვინციაში უდრის არა უმეტეს 10 ოჯახისა; ესენი მეტ ნაწილად ძველი მოხელეები და სამხედრო პირებია.

ჩინეთის გლეხის ოჯახთა მნიშვნელოვანი უმეტესობა ამუშავებს საშუალოდ ნახევარ დესეტინაზე ცოტა მეტ მიწას. გასაკვირი არაა, რომ ჩინელი გლეხი მეტად ღარიბია. გლეხი მუდმივ იმყოფება სისხლის მწოველ მდიდარისა და მოიჯარადრეს მძიმე უღელ ქვეშ.

ყოველგან მიწა მუშავდება უბრალო საშუალებით—ბარით წერაქვით, თოხით, ხშირად გუთანში თვით გლეხი ებმება.

წლიურად ორი მოსავალიც კი ვერ უშველის ჩინელ გლეხებს, რომ გაისტუმროს მიწის ბეგარა და მას მუდამ მართებს ვაჭრისა და ბობოლას ვალი.

იჯარა ჩინეთში (განსაკუთრებით სამხრეთში) მეტად მძიმეა. მოიჯარადრე იჯარის უფლებისთვის აძლევს ნახე არ მოსავალს. ერთი წლის შემდეგ მიწის პატრონს შეუძლია განდევნოს მოიჯარადრე მიწიდან. ამის გამო გლეხი ან კვდება შიმშილით, ან დარჩენია ყაჩაღად გავარდეს, რაც ხშირად ხდება ჩინეთში.

პურისა და მუშაობის ძიებაში ბევრი გადატაკებული გლეხი მიდის ქალაქად, ფაბრიკებში, ექირავებიან გემებზე გადამტვირთველებად ან და შეებმებიან ეტლებში ცხენის მაგივრად და ატარებენ მგზავრებს. ბევრი მიდის ბანდებში ან არმიაში, რომელსაც ადგენს თვითეული გენერალ-გუბერნატორი (ოლქის უფროსი ჩინეთში).

მძიმე მდგომარეობა აიძულებს ჩინელ გლეხებს ამხედრდენ თავიანთ ჩაგვრელთა წინააღმდეგ. ჩინეთის გლეხობა ირაზმება გადამჭრელი ბრძოლისთვის. კანტონში ეხლახან შესდგა ჩინეთის გლეხთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო სამხრეთ—ჩინეთის 200 ათასიან შეკავშირებულ გლეხთა წარმომადგენლები. ყრილობამ დაადგინა შეუერთდეს გლეხთა ინტერნაციონალს (გლეხთა ორგანიზაციების საერთაშორისო საბჭო, რომელიც იმყოფება მოსკოვში).

ჩინეთში გლეხობის მდგომარეობა უარესდება კიდევ იმით, რომ გენერლებსა და მემამულეებთან ერთად მის სისხლს სწოვენ კიდევ ამერიკის, ინგლისისა და იაპონიის კაპიტალისტები. უცხოელი კაპიტალისტები ჩინეთში ჩალის ფასად იძენენ ძვირფას საქონელს, როგორიცაა აბრეშუმი, ბამბა, ბრინჯი და სხვა. ჩინეთში კი მათ შეაქვთ სამრეწველო საქონელი მაღალ ფასებში.

იმპერიალისტური მტაცებლები უმოწყალოდ ყვლეფენ ჩინეთის ხალხს, იტაცებენ ჩინეთის ბუნებრივ სიმდიდრეებს, მიაქვთ ვალების პროცენტებში სახელმწიფოს მთელი შემოსავალი.

უცხოელთა თავხედობისა და თვითნებობის საუკეთესო საბუთია წარწერა კარებზე: **„ჩინელებისა და ძაღლების შესვლა აკრძალულია“.**

ჩინეთი დაყოფილია ცალკე ოლქებად. ოლქებს მეთაურობენ ამერიკის, ინგლისისა და იაპონიის მიერ მოსყიდული გენერლები, რომლებიც 12 წელზე მეტია აწარმოებენ ურთიერთ შორის ომს და ამ რიგად საბოლოოდ ასუსტებენ და ანადგურებენ ჩინეთის ხალხს.

მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა იცნო ჩინეთის დამოუკიდებლობა და გულწრფელად თანაუგრძნობს მას უცხოელ მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩინეთის ხალხი საბჭოთა კავშირს უყურებს, როგორც თავის საუკეთესო მეგობარსა და დამცველს.

ა. ხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო საქმე.

## კავშირის რა და რა საშუალება აქვს ასეულს ბრძოლაში.

მთელი უბანი, რომელიც უკავია ასეულს, იმყოფება მოპირდაპირის თოფის, ტყვიამფრქვევისა და არტილერიის ცეცხლ ქვეშ. კავშირის გაბმა და მისი დაცვა ასეთ პირობებში ძნელია. ამას ხელს უშლის მოპირდაპირის სიახლოვე და მასთან ადგილმდებარეობაც დიდ გავლენას ახდენს კავშირის გაბმასა და მის დაცვაზე. ღია, ვაკე ადგილზე კავშირი ხშირად სწყდება მტრის არტილერიის ცეცხლით.

რა და რა კავშირის საშუალება აქვს ასეულს? პირველ ყოვლისა შინაგანი კავშირი. დღეს ათეული და ოცეული იკავებს დიდ მანძილს: ასეული იკავებს კედაროთი 600—800 მეტრის მანძილს და იმდენსავე სიღრმით. ბრძოლაში ოცეულს, ათეულსა და ცალკე მეომარსაც მოუხდება დამოუკიდებლად მოქმედება ბრძანების დაუცდელად. ხოლო ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ყველა მეომრებს ეცოდინებათ ბრძოლის მიზანი, ე. ი. როცა თვითეულ მეომარს ეცოდინება ასეულის ამოცანა. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მეთაურის მოკვლის ან დაჭრის გამო, მებრძოლი არ დაიბნევა, ვინაიდან ეცოდინება თუ რა უნდა გააკეთოს.

მაგრამ მარტო შინაგანი კავშირი ცოტაა, ამისთვის ასეულს აქვს კიდევ ტეხნიკური და ჩვეულებრივი საშუალებანი. პირველს ეკუთვნის: ტელეფონი, მხედველობითი კავშირი, პირობითი ნიშნები, სანათები, შუშხუნები, ბგერითი კავშირი (ხმა, წივილი და სხვა). ჩვეულებრივ კავშირის საშუალებას ეკუთვნის მორბედები, წყვილ საგუშაგოების ჯაჭვი, მზვერავები, ვაზნების მიმწოდები და სანიტარი და ცნობის გადასროლა სხვა და სხვა საშუალებით.

კავშირის ამა თუ იმ საშუალების ხმარება დამოკიდებულია მოპირდაპირის სიახლოვეზე, მისი ცეცხლის ძალაზე, ადგილმდებარეობაზე, დღე და ღამის დროზე და სხვა. ერთი სიტყვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში საბრძოლო მომზადება დაგვანახებს, როგორი კავშირი უნდა იქნას დაწესებული, რომ ის საიმედო იყოს, ე. ი. მუშაობდეს განუწყვეტლივ და გადასცემდეს ბრძანებასა და დასმენას სისწორით და ჩქარა.

პ.

## ჯგუფური ბრძოლა.

[წი]ნად იბრძოდენ ასე: რომ თვითეულ მსროლელს თავისუფლად ემოქმედნა, მსროლელებს გაჰფანტავდენ შარში, ნაწილს დასტოვებდენ რეზერვში მათდა დასახმარებლად, რომლებიც აწარმოებდენ ბრძოლას. შარში მეომრები იმყოფებოდენ 2—5 ნაბიჯზე ერთი-მეორესთან. თვითეული მსროლელი ეხმარებოდა ადგილმდებარეობას და მუშაობდა თავის იარაღით.

მაგრამ უკანასკნელ ომში ცეცხლის გაძლიერებამ გამოიწვია ის, რომ შეტევაზე გამოსულ შარს ერთ წუთში მუსრავდა მოპირდაპირე. ამიტომ საჭირო იყო მთელი რიგი შარების დაყენება, რომ უკანა შარი დახმარებოდა წინას და საჭიროების დროს შეუერთდებოდა მას ან შესცვლიდა.

მაგრამ ჰურვები აფეთქების დროს წარმოშობდენ ორმოებს და ისე რღვნიდენ მთელ მინდორს, რომ ძნელი იყო გაგება—სად იყო თხრილი, სად მინდორი, სად სწორი ადგილი ამიტომ შარები თავისთავად იყოფებოდენ ჰურვების მიერ ამოთხრილ ორმოებით, როგორც სანგრებით. ასეთ ორმოს იკავებდა მსროლელთა ერთი ნაწილი ხელით სასროლ ტყვიამფრქვევით ან თოფებით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მსროლელები ჯგუფდებოდენ ავტომატიური (თვითმომქმედი) იარაღის გარშემო.

ამრიგად ჩნდებოდა ჯგუფების მთელი რიგი, რომლებიც ურთიერთმოქმედებით ატარებდენ თავის საბრძოლო მუშაობას: იმ დროს როცა ჯგუფი გადარბოდა ახალ ორმოსკენ, სხვები აძლიერებდენ თავის ცეცხლს და ამრიგად ეხმარებოდენ მეზობლებს.

ამრიგად, რომ უფრო მიზანშეწონილი ყოფილიყო წინსვლის დროს ცეცხლის წარმოება, საჭირო შეიქნა ნაწილების დაყოფა მცირე ჯგუფებად, რომლებსაც შემდეგში ეწოდათ საბრძოლო ჯგუფები.

თვითეულ ჯგუფს აქვს ტყვიამფრქვევი ან ავტომატი.

ასეთი საბრძოლო წესი უფრო ხელსაყრელია და ამჟამად უკვე იხმარება ყველა არმიებში.

პ.

## მოაწყვეთ ლენინის კუთხე.

2-რე ლეგ. ბატარეია.

ჩვენს ბატარეიას აქამდე არ ჰქონდა საკუთარი ლენინის კუთხე. მიმაგრებული ვიყავით მესამე ასეულის კუთხეზე და იქ ვაწარმოებდით საუბრებს.

ამ ჟამად, პოლიტხელ ღვინიაშვილის მეთაურობით შევსძელით საკუთარი ლენინის კუთხის მოწყობა. წითელ არმიელებმა არ შურავდენ ენერგიას და ყოველმხრივად ეხმარებოდ[ნე]ნ პოლიტხელს მუშაობაში.

შევიძინეთ მაგიდები, სკამები და სხვა მოწყობილობანი.

ყოველ საღამოობით თავს ვიყრით იქ და ვაწარმოებთ საუბრებს.

წითელ არმიელები დიდ მადლობას უცხადებენ პოლიტხელს კუთხის მოწყობისათვის, სადაც ჩვენ თავისუფლად ვიძენთ ყოველგვარ ცოდნას.

წ. არმ. შ. რ.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ვემზადებით წითელი არმიის რვა წლის და საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავისთვის.

1-ლი ლეგიონი.

ლეგიონის ყველა ასეულები უკვე შეუდგენ თებერვლის რევოლიუციისა და წითელი არმიის 8-წლის თავის ჩასატარებლად სამზადისს.

ლენინის კუთხეებში უფრო მომზადებული ამხანაგები აწარმოებენ ხმა-მაღალ კითხვას და ატარებენ საუბრებს ამ ორი დიდი მნიშვნელობის მქონე დღეებზე. ასეულების კედლის გაზეთები უკვე შეუდგენ სამზადის. წითელ არმიელები დიდ აქტიობას იჩენენ განსაკუთრებით კედლის გაზეთებში მონაწილეობის მიღებით.

პოლიტსაათების მთელი ყურადღებაც აქეთკენ არის მიპყრობილი. შუქდება არმიის წლის თავის შესახებ სხვადასხვა საკითხები.

ასევე მეცადინეობენ აგრეთვე ლეგიონში არსებულ პარტსკოლებში. საერთოდ ამ ორი დიდი დღის ჩასატარებლად დიდი მზადებაა ჩვენთან.

სამხკორი ვ. ჩაგელიშვილი.

## წრეებში მუშაობა არ სწარმოებს.

ცხენოსანი ლეგიონი.

ლეგიონის 1-ლ ესკადრონში დაარსებულია რამოდენიმე წრე, როგორც მაგალითად: ქიმიის, სამხედრო, ლიტერატურული და სხვები, მაგრამ მხოლოდ არსებობენ და მუშაობა მათში კი არ სწარმოებს. არ ვიცი რა სარგებლობა მოაქვს წრეების მარტო ქაღალდზე არსებობას, თუ მათში მუშაობა არ იწარმოებდა. განსაკუთრებით სდუმს ლიტერატურული წრე, რომელშიდაც ამ ერთი თვის განმავლობაში თითქმის არაფერი გაკეთებულა.

დროა ხელმძღვანელები გამოიღვიძებდენ და გააჩაღებდენ მუშაობას, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროა ახალი არჩევნების მოხდენა და ისეთი ამხანაგების გაყვანა ხელმძღვანელებათ, რომლებსაც საერთო ცოდნასთან ერთად ექნებათ საამისო ენერგია და მონდომება.

სამხკორი სულორის პირელი.

## რა გააკეთეს კურს დამთავრებულებმა.

1-ლი ლეგიონი.

სექტემბერში ლეგიონმა გამოუშვა 120 უმცროსი მეთაური, რომლებსაც დაწყებითი მუშაობის წარმოება მოუხდათ ახალწვეულ წითელ არმიელებთან.

ამხანაგებმა თავიდანვე დაიწყეს ერთსულოვანი მუშაობა. ახალგაზრდა წითელ არმიელებიც ხალისიანად შეუდგენ მუშაობას და ენერგიით სავსე მეთაურების ხელმძღვანელობით ჩქარა მივაღწევთ მიზანს. მთელი ამ ორი თვის განმავლობაში ახალგაზრდა წითელ არმიელები საუკეთესოდ მოემზადენ სამხედრო საქმეში.

თბილისის წვევამდელთა მოსამზადებელი წერტებიც უმთავრესად 1-ლი ლეგიონის უმცრს მეთაურებით იქნა შევსებული და აქაც თავისი კვალი დააჩინა მათმა ხელმძღვანელობამ. მათ პირნათლად გაატარეს მიცემული პროგრამის კურსი.

ხშირად გაიგონებთ ჩვენი უფროსი მეთაურებიდან მათ ქებას.

ვისურვებთ ბოლომდე ასე მტკიცედ ემუშაოთ ამხანაგებს ჩვენი წითელი ლაშქრის მოსამზადებლად.

სამხკორი ი. ზუმბაძე.

## ჩვენც ვაწყობთ სასადილოს.

1-ლი ლეგსკოლა.

30 იანვარს ლეგიონში შესდგა მთელი ლეგსკოლის შემადგენლობის გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება საკუთარი სასადილოს დაარსების შესახებ.

სიტყვით გამოვიდა ლეგსკოლის უფროსი და აღნიშნა თუ რად არის საჭირო, და რა სარგებლობას მოგვიტანს საკუთარი სასადილოს დაარსება. უმთავრესი მიზეზი ამის ის არის, რომ ლეგიონში სადილისათვის სიარული დიდ დროს გვართმევდა.

კრებამ ერთხმად მოიწონა ეს აზრი და დადგენილი იქნა სკოლის კურსანტთა შემადგენლობის ერთ თვის ჯამაგირი გადაიდოს სასადილოს მოსაწყობათ. თავისი წვლილი შემოიტანეს აგრეთვე მეთაურებმა.

არჩეული იქნა კომისია, რომელიც იმედია მალე მოაგვარებს სასადილოს მოწყობის საქმეს.

სამხკორი ბ. ვარდია.

ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

## ამხ. კოტე გოგელიას ხსოვნას.

1924 წლის ნოემბრიდან 6-ე (ეხლა მესამე) ლეგიონში მსახურებდა კომკავშირის წევრი ამხ. კოტე გოგელია. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა 16 თუ 17 წლის მივლენილი იყო ლეგსამკითხველოში და ყოველგვარ დავალებებს პირნათლად ასრულებდა, ამასთანავე ერთად ის საღამოობით დადიოდა ქუთაისის ახლად დაარსებულ მოზრდილთა კურსებზე სწავლის გასაგრძელებლად.

მოულოდნელმა სიკვდილმა ის ხელიდან გამოგვაცალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ.

ამხ. კოტე 5 იანვარს იღებს ათი დღის შვებულებას და მიემგზავრება თავის საყვარელ სოფ. სამებაში (გურიაში), მაგრამ გზაზე გაცივების გამო მას იპყრობს ჯერ ტვინის ანთება და შემდეგ მუცლის ტიფი, რამაც ის წუთი სოფელს გამოასალმა.

ამხ. კოტე სამუდამოდ მოშორდა თავის ამხანაგებს.

ლეგიონის ახკომკავშირის ორგანიზაცია მწუხარებას გამოსთქვამს ამხ. კოტეს დაკარგვის გამო, რომლიდგანაც შეიძლებოდა მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის საუკეთესო მებრძოლის შექმნა.

ამხ. კოტეს ხსოვნა წარუშლელი იქნება ჩვენში.

გიორგი სიხარულიძე.

## კარგად მოვეწყვეთ.

4-ხე ლეგ. 3-მე ათასეული.

ჩვენი ათასეული ამ უკანასკნელ ხანებამდე ვერ იყო კარგ მდგომარეობაში ბინის მხრივ. არ გვქონდა იმოდენა შენობა, რომ ყველა მოვთავსებულიყავით. ათასეული დანაწილებული იყო ორ ბინაში.

შესაკეთებელი იყო დიდი შენობა, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამაში არავითარი დახმარება არ აღმოგვიჩინა. იძულებული შევიქენით საკუთარი ძალებით დაგვეწყო შენობის შესაკეთებელი მუშაობა.

დაწყებული მუშაობა დავათავეთ. შენობა მშვენივრად შეკეთდა და როგორც იქნა თავი მოვიყარეთ მთელმა ათასეულმა. მოვაწყვეთ საერთო ლენინის კუთხე, ბიბლიოთეკა სასადილო და სხ.

დღეიდან გაერთიანებული ძალით უფრო შევსძლებთ საერთო საქმის გაკეთებას და მუშაობის წინ წაწევას.

სამხკორი ისარ.

## კითხვა-პასუხის საღამო ჩვენთან.

მეთაურთა სკოლა.

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც სკოლის წითელ არმიელებმა დავიწყეთ მეცადინეობა ლენინის კუთხეში, სადაც ვარჩევთ სხვა და სხვა საყურადღებო საკითხებს. ჩვენი დიდი ხნის სურვილი იყო მოწყობილიყო ჩვენთან კითხვა-პასუხის საღამო, მაგრამ სხვა და სხვა გარემოებანი არ გვიწყობდა ხელს.

უკანასკნელად ამხ. პოლიტხელის დახმარებით შევსძელით ჩვენი სურვილის განხორციელება. როგორც იქნა მოვაწყვეთ საღამო. წითელ არმიელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დაგვესწრო პოლიტხელიც.

იყო ბევრი რთული კითხვები, მაგრამ წითელ არმიელები ყველაზე თამამად უპასუხებდენ. ერთმანეთს ეცილებოდენ საპასუხოდ. ყველა გაუგებარი საკითხები კი დაწვრილებით აგვიხსნა პოლიტხელმა.

დასასრულ მოვაწყვეთ იუმორისტული გამოსვლები. უმთავრესად ვეხებოდით იმ ამხანაგებს, რომლებიც ზარმაცობენ და ეზარებათ მეცადინეობაზე დასწრება.

საერთოდ ამ საღამოთი ძლიერ კმაყოფილი დარჩენ დამსწრე ამხანაგები.

სამხკორი კვიკვიძე.

## ჩვენც ვეწევით გასამხედროების საქმეს.

4-ხე ლეგ. 3-მე ათასეული.

20 იანვარს შესდგა ათასეულის გაერთიანებული კრება, რომელზედაც განხილული იქნა სხვა და სხვა სოფლებში სამხედრო კუთხეების მოწყობის საკითხი და გათვალისწინებული იქნა აგრეთვე მათი მომავალი მუშაობაც.

კუთხეების მოწყობა ერთხმად იქნა ცნობილი დამკვრელ ამოცანად. მოხდა მეთაურების განაწილება თუ ვინ სად უნდა შეუდგეს საამისო მუშაობას.

21 იანვარს უკვე ყველა ამხანაგები გაემგზავრენ დავალებული საქმის სისრულეში მოსაყვანათ. ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი იქნა მოეწყოს კუთხეები ბორჯომში, ხაშურში, სურამში და სხვაგან.

ადგილობრივი მთავრობა დიდათ დაგვეხმარა ამ საქმეში. დაგვითმეს კუთხეებისათვის საუკეთესო და მოხერხებული ბინები და გაგვიწიეს დახმარება მატერიალურადაც.

ცვალებადი წითელ არმიელები ძლიერ გაახარა ამ გარემოებამ, ისინი მოუთმენლად ელიან კუთხეებში მეცადინეობის დაწყებას.

ძლიერ აინტერესებს კუთხეები კერძო მოქალაქეებსაც.

სამხკორი ი—ძე.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### კომუჯრედის მუშაობა გამოცოცხლდა.

**4-ხე ლეგ. 9-რე ასეული.**

დღემდე ჩვენი ასეულის კომუჯრედი ვერ იდგა თავის სიმაღლეზე. ის ვერ აწარმოებდა შესაფერ მუშაობას მასების დასაახლოვებლად, მაგრამ ეს გარემოებაც გათვალისწინებული იქნა უკანასკნელად და ამ მიმართულებითაც საგრძნობლად გამოცოცხლდა მუშაობა.

არა ნაკლები ენერგიით სწარმოებს მუშაობა პარტიის წევრთა შორის. კომუჯრედის მდივანი სისტემატიურად აძლევს მათ სხვა და სხვა პარტ დავალებებს—მოხსენებების გაკეთებისათვის და ურიგებს მათ სახელმძღვანელო წიგნებს.

მომზადებული ამხანაგები სოფლებშიდაც იგზავნებიან მოხსენებების გასაკეთებლად.

ასეთები არიან უმთავრესად წითელ არმიელთა რიგებიდან გამოსული ამხანაგები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ გლეხებზე.

ისინი ყოველთვის დიდი სიხარულით გვიღებენ და ყურადღებით გვისმენენ.

იმედია ასე ენერგიულად გააგრძელებს კომუჯრედი დაწყებულ მუშაობას.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

### სამაგალითო მეთაური.

**1-ლი ლეგ. 3-მე ასეული.**

ასეულის მეთაური ამხ. პავლე პავლი სხვა ... იშვიათი ამხანაგური დამოკიდებულებაში იმყოფება წითელ არმიელებთან. თავისუფალ დროში ამხანაგი სულ მათთან არის და ესაუბრება სხვა და სხვა საინტერესო საკითხებზე: დისციპლინაზე, როგორ უნდა მოეკიდონ სამხედრო საქმის შესწავლას, რისთვის არის საჭირო წითელი ჯარი, რად გვჭირია კარგი სამხედრო საქმეში და პოლიტიკურად გაწვრთნილი მეომრები და მრავალი სხვა.

ამხანაგი ამნაირად დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა წითელ არმიელების აღზრდის საქმეს.

ასეულის წითელ—არმიელები დიდ მადლობას უძღვნით მას ასეთი ყურადღებისათვის და სრული დარწმუნებული ვართ, რომ მომავალშიაც მეტი ხალისით განაგრძობს ის ჩვენი აღზრდის საქმეს.

წ. არმ. მოლოდინი.

### სამხკორის ხმამ გასჭრა.

**მე 5 ლეგიონი.**

რამოდენიმე წერილი იქნა მოთავსებული გაზეთ „წითელ არმიელში" ჩვენი დაწყვარ კოოპერატივის შენობის შესახებ, რომელიც აქამდე დაუხურავი იყო წვიმაში და თოვლში ლპებოდა მისი იატაკი და კედლები. ბოლოს როგორც იქნა სამხკორის წერილმა გასჭრა და აღნიშნული კოოპერატივის შენობის სახურავი შეკეთებული იქნა. მაგრამ კოოპერატივს მაინც ვერ ვღირსეთ. 5-ე ლეგიონის წითელ არმიელებს და მეთაურთა შემადგენლობას ტყავს გვაძრობენ, როდესაც კერძო ვაჭრებთან მივდივართ წვრილმანი ნივთების საყიდლათ. გაგვიხსენით კოოპერატივი.

სამხკორი ოგანოვი.

## უცხოეთის არმიებში

**150 ათასი მკვდარი ჯარის კაცი.**

3 წლის განმავლობაში ჩეხიის არმიაში მოკვდა 1493 ჯარის კაცი.-198 გარდაიცვალა ძალდატანებითი სიკვდილით, 307 კი თავი მოიკლა.

ჩეხო-სლავიის გაზეთები სრულიად მოულოდნელად, დიდი მზრუნველობით მოეკიდენ არმიას. თუმცა ასეთი მოყრობა უმთავრესად გამოწვეულია არმიის ხელიდან გამოცლის შიშით, რომელიც თავს აღწევს ჩეხიის მენშევიკების გავლენას.

ერთ-ერთი გაზეთი „პრავო ლიდუ" კითხულობს: „არჩევნების შედეგების შემდეგ ისმება კითხვა, როგორ დადგა არჩევნების დროს არმია კომუნისტების მხარეზე?"

ეჭვი შეუძლებელია: ჩეხო სლავიის არმია განთავისუფლდა მენშევიკების გავლენისაგან, რადგან მთავრობამ დააკანონა ჯარისკაცებისადმი მოპყრობაში ისეთი წესები, როგორსაც ადგილი ჰქონდა მეფის დროს.

გაზეთები სწერენ, რომ ოფიცრებისა და უმცროს მეთაურების უმრავლესობა ბოროტად იყენებს არმიაში თავის უფლებებს. ისინი უხეშად ეპყრობიან თავის ხელქვეითებს, ხშირად მიმართავენ ხელით ცემას და სხვა.

ქუჩაში უმცროსი მეთაური მხოლოდ იმისთვის სცემს ჯარისკაცს, რომ მას აღარ შეუძლია სიარული. 12—13 გრადუსი სიცივის დროს ჯარისკაცებს ამეცადინებენ მარტო ხალათების ამარა.

ყაზარმებთან მოდარაჯე ღლიურებიც ცუდათ არიან ჩაცმული და სდგანან დილის 6 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

ასეთი ცუდი პირობების გამო არმიაში წარმოუდგენლად გამრავლდა სიკვდილის შემთხვევები. ამას ნათლად აჩვენებს სათაურში მოყვანილი ციფრები. ჩეხო-სლოვაკიის არმიის გადარჩენა მხოლოდ კომუნისტური პარტია შესძლებს,

## ახალი ამბები.

— **ამერიკული მაზი.** სახალხო მამულების ტრესტმა ამერიკიდან მიიღო 1.500.000 მეტრი ამერიკული ვაზის ლერწი.

— **შუშხუნები.** სახალხო მამულების ტრესტმა ამერიკაში შეუკვეთა 25 ათასი ცალი სეტყვასთან საბრძოლველი შუშხუნა.

— **ღვია.** კახეთის ტყეებში სატყეო ტრესტი ამზადებს 5 ათას ფუთ ღვიას (ძვირფასი და იშვიათი ჯიშის მცენარეა).

— **მარგ ნეცი.** თებერვლიდან განზრახულია გატანილ იქნეს ქიათურიდან 135 რონოდა შავი-ქვა ყოველდღიურათ.

— **სიმინდის საჭიროება.** წელს, გამოანგარიშების თანამათ გურიისათვის საჭიროა 200 ათასი ფუთი სიმინდი.

— **საქონლის შემოტანა.** უკანასკნელათ ბათომისა და ფოთის ნავთსადგურებიდან ძალიან იმატა საქონლის შემოტანამ, ყოველდღიურათ იტვირთება 60 რონოდა.

— **1 იანვრიდან** ამიერკავკასიის რესპუბლიკებში შემოღებულია დაზღვევის ახალი წესი, თანახმათ საკავშირო საბჭოს დადგენილებისა.

— **მიწ. თმოქ.** კომისარიატმა. მიიღო საზღვარგარეთიდან ფილოქსერასთან საბრძოლველი იარაღ-მანქანები.

— **სამკურნალო ტალახი.** ტფილისის აღმასკომმა იჯარით მისცა ჯანმრთელობის განყოფილებას კუმისის ტბა სამკურნალო ტალახის დამუშავების მიზნით.

## მეცნიერება და ტექნიკა

**უჩინმაჩინის ჰაეროპლანი.**

აქამდე სამხედრო მიზნებისათვის ჰაეროპლანების გამოყენება ძნელი იყო იმით, რომ ისინი ადვილი შესამჩნევი იყვნენ საკმაოდ დაცილებული მანძილიდანაც კი მოწინააღმდეგისათვის.

ამ ჟამად ინგლისის საჰაერო ფლოტის კაპიტანმა დაასრულა მუშაობა ინგლისის ერთ-ერთ ქალაქში და კიდევაც გამოსცადა ეგრედ წოდებული უჩინმაჩინის ჰაეროპლანი. ჰაეროპლანის შეუმჩნევლობა მიღწეულია მთელი რიგი სხივების ამტყორცნი სარკეებით და ჰაეროპლანის ფრთებისა და ტანის ჰაერისფერად შეღებვით. ასეთი კომბინაციის საშვალებით, ჰაეროპლანი თითქმის სავსებით უჩინარი ხდება ჰაერში — განსაკუთრებით კი ღრუბლიან დღეებში.

**ავტომობილი თოვლში.**

როგორც ცნობილია დიდ თოვლში ავტომობილით მოძრაობა მეტად ძნელი და ხშირად შეუძლებელიც ხდება. ამ ჟამად გამოიგონეს ისეთი ტიპის ავტომობილი, რომელსაც ადვილად შეუძლია თოვლზე მოძრაობა. ახალ მანქანას არ აქვს თვლები—ბორბლები, მათ მაგიერ მას აქვს ოთხი სირტყე, რომლებიც შეერთებული არიან ჯაჭვით მამოძრავებელთან. თითეულ ღერძს აქვს ოთხი სპირტყე. ისინი მოძრაობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ასეთი აგებულობის გამო ავტომობილს სრულიად არ უძნელდება ოღრო—ჩოღრო გზებზე სიარული. ასეთი სისტემის ავტომობილები უკვე შემოღებულია ხმარებაში ამერიკასა და კანადაში.

## პასუხი შეკითხვებზე.

**შაქროს.** 1924 წ. შემოდგომაზე გამოწვეულები იქნებიან უვადო შვებულებაში დათხოვნილი მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

**მასვე.** ჯამაგირი გეკუთვნით თანამდებობის მიხედვით.

**№ ს-** თუ თქვენს განთავისუფლებამდე გაიწვიეს თქვენი ძმა, მას შეუძლია ისარგებლოს შეღავათებით.

**დევაძეს.** ოცეულის მეთაურს ეკუთვნის ერთი ოთხკუთხედი.

**ალავიძეს.** თქვენი ნაწილის უფროსის საშვალებით მიმართედ აღმასკომს და გლეხკომს, რომ უკანასკნელებმა დახმარება გაუწიონ თქვენს ოჯახს.

**ბაკურაძეს.** ჯამაგირი გეკუთვნით შტატის მიხედვით.

**გურ. ქვეშსაგები** წ. ა. საკუთრებათ არ გადადის.

**ღლონტს.** განცხადებით მიმართედ სახალხო განათლების კომისარიატს.

**ჭკადუას.** მეორე ხელი ტანსაცმელი არ გეკუთვნით.

**რიონის პირელს.** 13 ხარისხამდე ღებულობენ პირად ულუფას.

**მო—ხეს.** საოჯახო ულუფა მოსპობილია.

**მაღლაფერიძეს.** სანამ თქვენს ტანსაცმელს ტარების ვადა არ გაუთავდება, ისე ახალი არ მოგეცემათ.

**დ—ჩავას.** სამსახურის სარგებლობისათვის შეიძლება ერთი ლეგიონიდან მეორეში გადასვლა დივიზიის უფროსის ნებართვით.

**ა. გაბუნიას.** 1924 წ. შემოდგომაზე გაწვეული ცხენოსანი ესკადრონის წ. ა. უვადო შვებულებაში წავლენ ამ 1926 წ. შემოდგომაზე.

**გოროზიას.** მეთაურთა სკოლაში გატარებული ერთი წელი არ ჩაგეთვლებათ ბეგარის მოხდის დროს.

**ბუალავას.** ტანისამოსის შესაკერავი გერგებათ ერთი მანეთი და 63 კაპ.

**კურსანტს.** არ ჩაგეთვლებათ.

**კახიძეს.** ნაწილთან ერთად როდესაც გაგზავნიან, მაშინ ვლინების ფული არ გერგებათ, მარტო თუ იყავით—კი.

**მეთაურს.** არ გერგებათ.

**ოქ—რიძეს.** მიმართედ ლეგ. უფროსს ექიმს თუ საჭიროდ დაინახა ის გაგზავნის კომისიაში.

## ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად მარნის წერტის წვევამდელთა გამოწვევისა, ვიწერ გაზ. „წითელ არმიელს" 1 ცალს სამი თვით 1-ლ თე- ბერვლიდან და ვიწვევ 5-თე ლეგიონის 6-სე ასეულიდან მე- სამე ოცეულს და ლეგსკოლის მესამე ოცეულს, მესამე ასე- ულის მესამე ოცეულს, მეთაურთა სკოლის მესამე ოცეულს და ამავე ასეულიდან მეორე და მეოთხე ოცეულების კადრ- შემადგენლობას.

ოც. მეთაური დ. ჭავჭანიძე.

## ჩვენი ფოსტა.

**ყველა სამაზრო კომისარიატებს.** გაზ. „წითელი არმიელის გზავნა" შევიწყვეტ 1-ლ თებერვლიდან. ასეთი გამოგეგზავნებათ მხოლოდ სათანადო საფასურის გადმოგზავნის შემდეგ.

**ამხ. ქართელს.** თქვენი კორესპონდენცია გაუგებარია. მოიწერეთ გარკვევით.

**ამხ. ვ. სრედას.** (პირველი მესანგრე). თქვენი კორესპონდენცია „ასეულის შესახებ" გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. კვიკვიძეს.** (მეთაურთა სკოლა). თქვენი წერილი „შეპირებას ასრულება უნდა" დაუსაბუთებელია. არ დაიბეჭდება.

**ამხ. ამხ. დგოინებს, ძნელაძეს და ხაჩატუროვს:** თქვენი ლექსები „ახალ წელს", „წითელი ყაზარმა" და „[illegible] წითელი მოლაშქრე" არ გამოდგა.

**ამხ. აზნაუროვს.** (მე-2 ლეგ.). წერილი „სხვა მრავალთ ასეთები" გაუშვით კედლის გაზეთში.

**ამხ. საგინაშვილს.** (მე-2 საკავშირო). თქვენი წერილი „ასეულის ცხოვრებიდან" ძლიერ გაუგებარია. სკოლაზე სწერთ თუ ასეულზე? საჭიროა გარკვევით მოიწეროთ შემდეგისათვის.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქ. მ. დივიზიის შტაბის და პოლიტგანყოფილების კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება ამავე დივიზიის სანიტარული ნაწილის საქმის მწარმოებელს (იგივე უფროსი ექიმის თანაშემწე) ამხ. ანდრო პავლეს-ძე მანჯგალაძეს (ქუთაისის მაზრის ს. ღანირის მცხოვრები) კომპარტიის (ბ) კანდიდატათ მიღების შესახებ.

კომუჯრედი გთხოვთ თუ ვინმემ რაიმე საწინააღმდეგო იცით ამხ. მანჯგალაძის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი 1-ლ ქ. მ. დივიზიის შტაბის და პოლიტგანყოფილების კომუჯრედის მდივანს გრ. გაბისონ ას.

## რა ღირს „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. სიმონგულოვი